კახაბერ დემეტრაშვილი

ქართველ მეფეთა პოლიტიკური ურთიერთობა შაქის სახანოს მმართველებთან XVIII საუკუნის შუა წლებში

რეზიუმე

XVIII საუკუნის შუა წლებში, ირანში შინაშლილობის პერიოდში, სამხრეთ კავკასიაში წარმოიქმნა დამოუკიდებელი და ნახევრადდამოუკიდებული და პოლიტიკური ერთეულები. ისინი მუდმივ ურთიერთბრძოლებში იყვნენ ჩართულნი. ეს ბრძოლები უშუალოდ საქართველოს საზღვრებთან მიმდინარეობდა და, ბუნებრივია, მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდნენ ქართლისა და კახეთის მეფეები, რომლებიც მალევე ჩაებნენ საბრძოლო მოქმედებებში. სტატიაში წარმოდგენილია შაქის სახანოს მოკლე ისტორია, განხილულია ამ სახანოს მმართველის, ჰაჯი-ჩელები ხანის მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი. მთავარი ყურადღება კი გამახვილებულია შაქის სახანოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობებზე XVIII საუკუნის შუა ხანებში.

საკვანძო სიტყვები: *ქართლი, კახეთი, შაქის სახანო, ჰაჯი-ჩელები ხანი, თეიმურაზ II, ერეკლე II.*

XVIII საუკუნის შუა წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ხანებს შორის ბრძოლები მიმდინარეობდა ჰეგემონიის მოსაპოვებლად. ამ დაპირისპირებებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართლისა და კახეთის მეფეებიც აქტიურად ჩაებნენ. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო ნადერ შაჰის მკვლელობის (1747 წლის 19-20 ივნისის ღამე) შემდეგ მის იმპერიაში დაწყებული ქაოსითა და განუკითხაობით.[1] ირანში სამეფო ტახტის მაძიებლებს შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა პირველობისათვის. სამხრეთ კავკასიაში წარმოიქმნა დამოუკიდებელი და ნახევრადდამოუკიდებული პოლიტიკურად დაქუცმაცებული სახანოები თუ პოლიტიკური ერთეულები.[2] ასე რომ, თავიანთი სამფლობელოების გასაფართოებლად ირანის პროვინციებისა და სახანოების მმართველებმა სახელმწიფოში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს და აქტიური მოქმედებები დაიწყეს. ბრძოლები, მათ შორის,

ამ ბრძოლებს შორის აღნიშნულ პერიოდში, ფრიად გამოსარჩევი ადგილი უკავია მეფე თეიმურაზ II-სა (1733-1744 კახეთის მეფე; 1744-1762 წლებში ქართლის მეფე) და მეფე ერეკლე II-ის (1744-1762 წლებში კახეთის მეფე; 1762-1798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე) სამხედრო დაპირისპირებებს შაქის სახანოს მმართველებთან: ჰაჯი-ჩელები ხანთან (1743-1746; 1747-1755) და მის ვაჟთან, აღა-ქიში ხანთან (1755-1759). საკითხის უკეთ წარმოსაჩენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, წარმოგვეჩინა შაქის სახანოს მოკლე ისტორიული ცნობები და ამ სახანოს საკმაოდ ცნობილი მმართველის, ჰაჯი-ჩელები ხანის, მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი.

შაქის ხანს, ჰაჯი-ჩელები ყურბან ოღლის XVIII საუკუნის სამხრეთ კავკასიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს უკანასკნელი ითვლება შაქის სახანოს დამაარსებლად და მის პირველ დამოუკიდებელ ხანად. ჰაჯი-ჩელებიმდე შაქის სახანოს მმართველი სომეხი მმართველი ნაჯაფი იყო, რომელიც თავისი სიმკაცრით ხალხის

---

[1]Laurence Lockhart, Nadir Shah, A Critical study, besed mainly upon Contemprorary Sources (London: Luzac, 1938); 262-263; محمد کاظم مروی, وزیر مرو, عالم آرای نادری, به تصحیح و با مقدمه دکتر محمد امین ریاحی, جلد سوم (تهران: انتشارات علمی، بهار۱۳۷۴) ,۱۱۹۹-۱۱۹۵؛ رضا شعبانی, تاریخ اجتماعی ایران در عصر افشاریه, جلد اول, (انتشارات نوین، تهران، ۱۳۶۹), ۱۲۱.

[2] Илья Павловнч Петрушевский, Очерки по истории феодальный отношений в Азербайджане и Армении в XVI – начале XIX вв. (Ленинград: ЛГУ, 1949), 111; Вадим Николаевич Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке (Баку: Издательство АН Азербайджанской ССР, 1948), 19.

უკმაყოფილებას იწვევდა. ჰაჯი-ჩელები იმ დროს ირანის შაჰის მიერ შაქში დანიშნული ვექილი იყო, რომელსაც ნაჯაფისათვის ყურადღება უნდა მიექცია, რათა მას მოსახლეობისათვის ზედმეტი გადასახადები არ შეეწერა და ამით ხალხში მღელვარება არ გამოეწვია. ნაჯაფი ჰაჯი-ჩელების მიმართ მტრულად განეწყო და ნადერ შაჰთან (1736-1747) მის დასაბეზღებლად მომენტს ელოდა. ამას მალე მიაღწია. ირანის შაჰის კარზე დაბარებული ჰაჯი-ჩელები, შაჰის ბრძანებით, კინაღამ სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ მან მოახერხა თავისი უდანაშაულობის დამტკიცება. ამის შემდეგ, ნადერ შაჰმა ის გაათავისუფლა, მთელი რისხვა კი ნაჯაფს დაატეხა, თუმცა, სიკვდილით არ დაუსჯია[3].

XVIII საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ირანი მასობრივმა აჯანყებებმა მოიცვა, ჰაჯი-ჩელები ირანის წინააღმდეგ გამოვიდა. 1743 წელს, მან ნაჯაფი მოკლა და თავი შაქის (ანუ ნუხის) ხანად გამოაცხადა. ასე რომ, სხვა სახანოებთან ერთად, შაქის სახანოც, ჰაჯი-ჩელების მეთაურობით, ნადერ შაჰის მმართველობის წინააღმდეგ გამოვიდა. 1744 წელს ჰაჯი-ჩელებიმ ირანის ჯარის შემოტევებისაგან გმირულად დაიცვა ციხე-სიმაგრე, რომლის სახელწოდებაა „გელერსენ - გიორერსენი“ და რომელიც მდებარეობდა თანამედროვე ქ. შაქის (ყოფილი ნუხის) მახლობლად. დაპირისპირება გაგრძელდა რამდენიმე თვის განმავლობაში.

1745 წლის თებერვალში, ნადერ შაჰის ჯარმა მორიგი იერიში მიიტანა ხსენებულ ციხე-სიმაგრეზე, მართალია, ვერ აიღო, მაგრამ ალყაში მოაქცია. ციხე-სიმაგრეში მყოფნი მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ და 1746 წლის მარტში იძულებულნი გახდნენ, მტერს დანებებოდნენ. ჰაჯი-ჩელები, რამდენიმე მხლებელთან ერთად, ნადერ შაჰთან გამოცხადდა და პატიება ითხოვა. ირანის შაჰმა მას აპატია, ხოლო შაქის მმართველად მელიქი ჯაფარი დანიშნა, ზემოთ ნახსენები მელიქი ნაჯაფის ძმის შვილი.

ნადერ შაჰის მკვლელობის შემდეგ, ჰაჯი-ჩელებიმ კვლავ მოახერხა შაქის მმართველი გამხდარიყო (1747-1755). უნდა აღინიშნოს, რომ მისი მმართველობის დროს შაქის სახანომ დიდი აღმავლობა განიცადა: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში საკმაოდ დაწინაურდა და ძლიერ სახანოდ იქცა. მისი დედაქალაქი ნუხი (1968 წლიდან მას შაქი ეწოდება) კი ძალზე გამშვენდა და გალამაზდა.[4]

ჰაჯი-ჩელები ხანმა ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე წლებიდან საკუთარ თავს დაუსახა ერთადერთი მიზანი - თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება საკუთარი სახანოს ირგვლივ ან, თუნდაც შირვანშაჰების ყოფილი სახელმწიფოს აღდგენა. შემთხვევითი არ არის, რომ ჰიჯრის 1162 წლით (1748-1749 წლები) დათარიღებულ წარწერაში, რომელიც შესრულებულია შაქში მის მიერ აშენებული მეჩეთის კედელზე მიმაგრებულ მარმარილოს დაფაზე, წერია: „ჰაჯი ჩელები სულთანი, ყურბანის ძე, შაქის ჰაქიმი, შირვანის ემირი“.[5] XVIII-XIX საუკუნეების ისტორიკოსის, მირზა-ადიგეზალ ბეგის, ნაშრომში, ფანაჰ ალი ხან ყარაბაღელისა და ჰაჯი-ჩელების ბრძოლების დროს, ჰიჯრის 1161 წლის ამბებში, ჰაჯი-ჩელები ხანი მოხსენიებულია მთლიანი შირვანატის სრულ მფობელად.[6] ამავე წყაროს მიხედვით, ჰიჯრის 1161 წელი მიმდინარეობდა 1748 წლის 2 იანვრიდან-იმავე წლის 22

---

[3] Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 91-92.

[4] Играр Алиев (редактор), История Азербайджана с древнейших времен до начала XX века (Баку: Издательство «Элм», 1995), 142; Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 92-94; Асим Ахмед оглы Абдурахманов, Азербайджан Во взаимоотношениях России. Турции и Ирана в первой половине в XVIII века (Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской СССР, 1964. Отпечатано в типографии «Нагыл Еви», 2011), 127-128; Эльдар Исмаилов, Очерки по истории Азербайджана (Москва: Флинта, 2010), 141-142.

[5] Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 95; Махмуд Исмаил, История Азербайджана (Краткий обзор с древнейших времен до 1920 года) (Баку: Азербайджанское государственное издательство «Азернешр», 1995), 37.

[6] Мирза-Адигезаль-Бек. Карабаг-Наме. Перевод с азербайджанского языка подготовленный к печати Институтом истории им. А. Бакиханова Академии Наук Азербайджанской СССР (Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской СССР, 1950), 54.

ნოემბრამდე.[7] ამის საპირისპიროდ, ისიც ცნობილია, რომ XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს ჰაჯი-ჩელები არ იყო შირვანის სახანოს მფლობელი.[8] ვ. ლევიატოვის ნაშრომში დაცული ცნობებით, ჰაჯი-ჩელები არც აღნიშნულ წლებში და არც ადრე არ ყოფილა შირვანის მმართველი.[9] ზემოთ ნახსენებ წარწერას თუ მივიღებთ მხედველობაში, შესაძლოა, რომ ეს მხოლოდ ჰაჯი-ჩელების სურვილი ან მისი სამომავლო გეგმა იყო. მირზა-ადიგეზალ ბეგის იმავე ნაშრომში სხვა ადგილასაც ვხდებით ჰაჯი-ჩელები ხანს მოხსენიებულს შირვანის მმართველად.[10] ასევე, XVIII საუკუნის ისტორიკოს-მემატიანე პაპუნა ორბელიანის თხზულებაშიც ვკითხულობთ 1752 წლის განჯის ბრძოლის შედეგების შესახებ: ჰაჯი-ჩელები ხანმა დაარბია და გაძარცვა განჯაში მყოფი თბილისელი მოვაჭრეები და „წავიდა შირვანს, ქვეყანასა თვისსა“.[11] სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობის შემდეგ (მათ ჩვენ სხვა ადგილას შევეხებით), ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჰაჯი-ჩელები ხანს პრეტენზია ჰქონდა შირვანის სახანოზე და შესაძლოა, მცირე ხნით (XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში) მის გარკვეული ნაწილზეც შეძლო თავისი ძალაუფლების გავრცელება, თუმცა შირვანის მთლიანად დამორჩილება მან ვერ მოახერხა.

პოზიციების გასამყარებლად, ჰაჯი-ჩელები ხანმა თავისი ვაჟი აღა-ქიში ყაზიყუმუხელ მუჰამედ ხანის ქალიშვილზე დააქორწინა და დაღესტნის მმართველებთან კავშირი დაამყარა.[12]

XVIII საუკუნის 50-იან წლების დასაწყისში კი ჰაჯი-ჩელები ნელ-ნელა ჩნდება პოლიტიკურ სარბიელზე. მან ხელთ იგდო კაბალა და დაიმორჩილა არეშის სასულთნო. ამის შემდეგ, შაქის ხანი იბრძოდა განჯისა და ყარაბაღის გარკვეული ტერიტორიებისთვის.[13] რაც შეეხება ჰაჯი-ჩელების ურთიერთობას საქართველოსთან, როგორც ჩანს, თავდაპირველად ის აღიარებდა ქართლისა და კახეთის უპირატესობას. ჰაჯი-ჩელების ვხედავთ ქართველების მოკავშირედ 1750 წელს ყარაბაღის სახანოს წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.[14] „ჭარის ომების ქრონიკაში“ დაცული ცნობით, ფანაჰ ალი ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველების მხარდამხარ, სამასი მეომრით, ჰაჯი-ჩელების ვაჟიც იბრძოდა.[15] თავად ჰაჯი-ჩელები, როგორც ჩანს, საბრძოლო ასპარეზზე აქტიურ გამოსვლას არ ჩქარობდა. ორი ძლიერი მხარის (თეიმურაზ-ერეკლე მეფეებისა და ფანაჰ ალი ხან ყარაბაღელის) ერთმანეთთან ბრძოლა და მათი დასუსტება, ალბათ, მის გეგმებში შედიოდა. პაპუნა ორბელიანის თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“ და ანონიმი ავტორის თხზულებაში „ჭარის ომების ქრონიკა“ დაცული ცნობებით, ჰაჯი-ჩელების, ისევე, როგორც მუჰამედ ყაზიყუმუხელს, 1750 წელს საქართველოში დაღესტნელთა შემოსევაში მონაწილეობა არ მიუღია. მისი თქმით, მასა და მეფე ერეკლე II-ს შორის ზავი იყო დადებული, რომელიც ფიცით იყო განმტკიცებული და ამ ფიცის გატეხას არ აპირებდა.[16] ვფიქრობთ, შაქის მმართველი ძალებს ნელ-ნელა იკრებდა და შესაფერის მომენტს ელოდა. ეს მომენტიც მალე დადგა.

1751 წლის თებერვალში ქართველთა ჯარი ჭარის დასარბევად წავიდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ, ჭარი წარმოადგენდა დაღესტნელ აბრაგ-ყაჩაღთათვის ერთგვარ

---

[7] Мирза-Адигезаль-Бек, Карабаг-Наме, 53.

[8] Махмуд Исмаил, История Азербайджана, 37.

[9] Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 95.

[10] Мирза-Адигезаль-Бек, Карабаг-Наме, 65.

[11] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1981), 195.

[12] Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 95.

[13] Махмуд Исмаил, История Азербайджана, 37; Эльдар Исмаилов, Очерки по истории Азербайджана, 143.

[14] კახაბერ დემეტრაშვილი, „პაპუნა ორბელიანი ფანახ ხან ყარაბაღელთან ქართლ-კახეთის მეფეების პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ“, მეცნიერება და ცხოვრება, №2 (2010): 141-147.

[15] Хроника воин Джара в XVIII столетии, с предисловие - В. Хулуфлу, перевод арабского на русский язык и несколько примечаний сделаны П. К. Жузе. а примечания даны к «Хронике» Е. А. Похомовым (Баку: Издательство АзГНИИ, , 1931), 49.

[16] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 178; Хроника воин Джара в XVIII столетии, 50.

სატრანზიტო და მთავარ დასაყრდენ რეგიონს, სადაც, ათწლეულების განმავლობაში, ხდებოდა მათ მიერ ქართლიდან, კახეთიდან და სამხრეთ კავკასიის სხვა კუთხეებიდან მიტაცებულ-ნაძარცვი ტყვე-საქონლის შენახვა-განაწილება. მტრის წინააღმდეგ ქართველებმა თავიანთი ყმადნაფიც მხარეთა ჯარიც იახლეს. ქართველთა ჯარს ჭარელებიც მომზადებულნი დახვდნენ: გადაიბირეს კაკის სულთანი, დაღესტნის ზოგიერთი ხანი და, რაც მთავარია, შაქის ხანი ჰაჯი-ჩელები, რომელიც თავიდან, ქართველ მეფეთა ბანაკში იყო. ბრძოლა გაიმართა 1751 წლის 15 თებერვალს, მდ. აგრი-ჩაის ნაპირას (აქ გადიოდა ჭარ-ბელაქნისა და შაქის სახანოს საზღვარი). ქართველებს გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ ჰაჯი-ჩელები ხანთან მოუწიათ, სადაც ქართველთა ჯარი დამარცხდა.[17] ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ვ. ლევიატოვი თავის ნაშრომში წერს, რომ ქართლის მეფე თეიმურაზმა მოინდომა, ირანის სახელმწიფოში შექმნილი არეულობითა და ქაოსით ესარგებლა და განჯისა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ხელთ ეგდო, ხოლო თუ შესაძლებლობა მიეცემოდა, ყარაბაღიც დაემორჩილებინა. ამ მიზნის განხორციელებაში მას მისივე ვაჟი, კახეთის მეფე ერეკლე ეხმარებოდა. ვ. ლევიატოვისვე გადმოცემით, თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა, თავიანთი საზღვრების გაფართოებისა და თავისზე დაქვემდებარებული ტერიტორიების გაზრდის პირველი მცდელობა მიმართეს არა განჯის, არამედ ჭარის ოლქის წინააღმდეგ.[18] ჩვენი მხრივ იმას ვიტყვით, რომ ჭარი უძველესი ქართული მიწა-წყალი იყო. თვით „ჭარის ომების ქრონიკაში“ დაცული ცნობით, 1728 წლის დასაწყისში ოსმალებმა ისლამის გასავრცელებლად მათ მიერ მიტაცებული საქართველოს ტერიტორია - გავაზის წყალსა და ყაფუჩაის შორის გაღმა მოქცეული მხარე - დაღესტნელ ჭარელებს დაუმტკიცეს.[19] დაპყრობილი ტერიტორია, ქართული სოფლები, ჭარელებმა მძიმედ დაბეგრეს და ადგილობრივი მოსახლეობა აიძულეს, ისლამი მიეღოთ. სწორედ ამ დამორჩილებულ და დაბეგრილ გლეხს ეწოდა ინგილო. ამგვარად წარმოიშვა საქართველოს მიწა-წყალზე ჭარ-ბელაქანი, რომელიც, როგორც მართებულად შენიშნავს ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი, მტაცებელ-დამპყრობლებთან საუკუნოვან ბრძოლაში, ქართველთა მძიმე მარცხის მაჩვენებელი იყო.[20] ყოველივე ამის შემდეგ, ქართველებს მისი უკან დაბრუნება რომ შესძლებოდათ, ვფიქრობთ, ამით ისტორიული სამართლიანობა აღდგებოდა. მეორეც, ნაწილობრივ მაინც აღიკვეთებოდა საქართველოში დაღესტნელთა ყაჩაღური თავდასხმები.

რაც შეეხება მდ. აგრი-ჩაისთან ქართველთა ჯარის დამარცხების მიზეზებს, საქართველოს ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. საყურადღებოა ე. თაყაიშვილის ნაშრომში დაცული ცნობა, სადაც ქართველთა მარცხის მიზეზად ჯარის დიდი რაოდენობაა დასახელებული: „მეფეთა ჯარი დიდი იყო და დიდ ჯარს თავი ვეღარ დაუჭირეს“.[21] ავტორს, შესაძლებელია, იმის თქმა სურდა, რომ თეიმურაზ და ერეკლე მეფეებს ქართველების გარდა, ჯარში სხვადასხვა ეროვნების მეომრები ჰყავდათ და მათი მობილიზება გაუჭირდათ. თუ მოვიშველიებთ სხვა ქართულ საისტორიო წყაროებს, როგორებიცაა ომან ხერხეულიძისა და მეფე გიორგი XII-ის (1798-1800) ვაჟების ნაშრომები, ნათქვამია, რომ ჰაჯი-ჩელებიმ ჩვენს მეფეებს უღალატა, ქართველებთან მყოფი სხვა ხანებიც გადაიბირა და როდესაც ქართველთა ჯარმა გაქცეული ხანები და მათი რაზმები დაინახა, დაიბნა და მტერმაც ამით ისარგებლა.[22] აქედან

---

[17] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 181-182; ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, მეორე გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძისაგან (თბილისი: ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული № 1, 1913), 392; ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიების აღწერა. გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ (ტფილისი: სტამბა ბართლომე კილაძისა, 1914), 28.

[18] Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 122.

[19] Хроника воин Джара в XVIII столетии, 50.

[20] ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან“, მიმომხილველი, ტომი III (1953): 84-85.

[21] Еквтиме Такаишвили, Материалы для истории Грузии (Тифлис: Издание Управления Кавказкого Учебного Округа, 1895), 49.

[22] ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1989), 50; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა (თბილისი:

გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ე. თაყაიშვილის ნაშრომში დაცული ცნობის ავტორს მხედველობაში ჰქონდა ქართველთა ჯარის არა სიმრავლე, არამედ მისი მრავალეროვნულობა, რაც ზემოთ ნახსენები ქართული წყაროების მიხედვით, ქართველთა დამარცხების მიზეზი აღმოჩნდა. აგრი-ჩაის ბრძოლაში ქართველებმა დიდი ზარალი ნახეს. ე. თაყაიშვილის ნაშრომის მიხედვით, ქართველებმა ხსენებულ ბრძოლაში 4 ათასი მებრძოლი დაკარგეს: ზოგი ბრძოლის დროს დაიღუპა, ზოგი მდინარე ალაზანში დაიხრჩო, ზოგიც კი მტერმა დაატყვევა. ეს ავტორი, ამ ბრძოლის თარიღად ასახელებს 11 (ახ. სტ. 22) თებერვალს, ორშაბათ დღეს.[23] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ომან ხერხეულიძე, ასევე დავით ბაგრატიონი აგრი-ჩაის ბრძოლის დათარიღებაში შეცდომას უშვებენ. ბრძოლა, ომან ხერხეულიძის მიხედვით, მოხდა 1752 წელს, ხოლო დავით ბაგრატიონის მიხედვით კი - 1749 წელს. ამ მხრივ, ზუსტია დავით ბაგრატიონის ძმების, ბაგრატ და თეიმურაზ ბაგრატიონების ინფორმაცია. ბაგრატ ბატონიშვილი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ვახუშტი ბატონიშვილისა და ანტონ კათოლიკოსის შრომებით სარგებლობდა.[24]

ამ დამარცხებამ სამხრეთ კავკასიაში ქართველთა ავტორიტეტს ზიანი მიაყენა და მათ პირველობას წყალი შეუყენა. მართალია, ერეკლე მეფემ იმავე წელს (1752 წლის ზაფხულში) ერევანთან ახლოს, ყირყბულახთან, ძალზე შთამბეჭდავად და ეფექტურად დაამარცხა ირანში ძალაუფლებისთვის ერთ-ერთი მებრძოლი აზად ხან ავღანი,[25] რითაც მოახდინა აგრი-ჩაის მარცხის ერთგვარი რეაბილიტაცია, მაგრამ ეს გამარჯვება სამხრეთ კავკასიაში ჰეგემონიის მოპოვების სრულ გარანტიას მაინც არ იძლეოდა. აღნიშნულ რეგიონში პირველობაში ქართველ მეფეებს ჰაჯი-ჩელები ხანი ეღობებოდა. მისი მეთაურობით შექმნილი კოალიცია კვლავ ძალაში რჩებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ჰაჯი-ჩელების მმართველობის დროს შაქის სახანო სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში დიდ ძალას წარმოადგენდა: XVIII საუკუნის 50-იან წლების დასაწყისში ამ სახანომ ძლიერი კოალიცია შეადგინა, რამაც სხვა დანარჩენ სახანოებს დიდი საფრთხე შეუქმნა.[26] ეს უკმაყოფილება ქართველმა პოლიტიკოსებმა სათანადოდ შეაფასეს და ჰაჯი-ჩელების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელზე უკმაყოფილო ხანებთან ერთად, საპირისპირო კოალიცია ჩამოაყალიბეს.

1752 წლის მარტში ქართველთა ჯარი, ოსებისა და დაღესტნის ზოგიერთი ტომის მეომრებით გაძლიერებული, განჯაში ჩავიდა. იქ ქართველებს მათივე მომხრე ხანები უნდა შეერთებოდნენ და ერთიანი ძალებით ჰაჯი-ჩელების წინააღმდეგ შაქის სახანოში შეჭრილიყვნენ. განჯასთან ახლოს, სოფელ აზარმათთან, ქართველი მეფეების წინაშე გამოცხადდნენ განჯის შაჰვერდი ხანი (ეს მათ თავიდანვე შეხვდა), ფანაჰ ალი ხან ყარაბაღელი, ქაზუმ ხან ყარადაღელი, ბარგუშათის ხანი, შაჰისევანის ხანი, ჰუსეინ ალი ხან ერევნელი, ჰაიდარ ხან ნახიჭევანელი, სიღნაღის ჩანახჩის მელიქი და სხვა ხანები თუ ფეოდალები, რომელთაც თეიმურაზ და ერეკლე მეფეები კარგად დახვდნენ. თუმცა, წყალდიდობის გამო, ეს გაერთიანებული ჯარი მდ. ალაზანზე ვერ გადავიდა და ჰაჯი-ჩელების წინააღმდეგ ბრძოლა ვეღარ მოხერხდა.[27] მაგრამ იქ ერთი მოულოდნელი ამბავი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941), 4; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1983), 48.

[23] Такаишвили, Материалы для истории Грузии, 49-50.

[24] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 4-5; 47; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, 48.

[25] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 183-187.

[26] Гаси Бехбудович Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке и взаимоотнашения его с Россией (Баку: Издательство Академии наук АзССР, 1965), 98.

[27] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 192-193.

მოხდა, რამაც ქართველთა ავტორიტეტს (ბრძოლის შედეგზე რომ არაფერი ვთქვათ) დაღი დაასვა.[28]

როგორც პაპუნა ორბელიანის თხზულებიდან ჩანს, ქართველმა მეფეებმა ზემოთ ნახსენებ ხანებს ღალატი შენიშნეს, ქართველთა კარავში მოწვეულები მოულოდნელად შეიპყრეს და დაატყვევეს.[29] აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ღალატის ფაქტს არ აღიარებენ. მათი თქმით, ერეკლე II-მ ამ ქმედებით თავისი ზრახვები გამოამჟღავნა, რაც ზემოთ ნახსენები ხანების ხელში ჩაგდება და მათი სახანოების დაპატრონება იყო.[30]

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მეფე ერეკლე II-ის ქმედებით უკმაყოფილო დავით და თეიმურაზ ბატონიშვილები, კახეთის მეფეს ადანაშაულებენ. აღსანიშნავია, რომ, თეიმურაზ და ბაგრატ ბატონიშვილებისგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში განჯის ბრძოლის თარიღად 1752 წელს უთითებენ, დავით ბატონიშვილი თავის ნაშრომში შეცდომით 1751 წელს აღნიშნავს.[31] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ისტორიკოსები ამ ამბების თვითმხილველნი და მომსწრენი არ იყვნენ. ასევე, მათ ზოგიერთ ნაშრომში ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებულ სიღრმისეულ მსჯელობა-განსჯას ვერ ვხედავთ. ისინი ფაქტებს, ძირითადად, მშრალად და ლაკონიურად გადმოგვცემენ.

სხვა ქართული წყაროებიდან, რომლებიც ამ ამბავს ეხება, ომან ხერხეულიძის თხზულება გამოირჩევა, რომელიც ამ ხანების მხრიდან, ქართველი მეფეების მიმართ ღალატის ფაქტზე მიუთითებს. ამავე აზრისაა ისტორიკოსი პ. ბუტკოვი. ვ. ლევიატოვის ნაშრომში, ამ ფაქტთან დაკავშირებით, მოტანილია ისტორიკოს მარი ბროსეს მოსაზრება. ისიც ქართველ მეფეებს ამართლებს და ხანების მხრიდან ღალატის ფაქტს აფიქსირებს. ე. თაყაიშვილის ნაშრომში დაცული ცნობაც ღალატის ფაქტზე მიუთითებს.[32] მართლაც, თუ არა ღალატის გამოვლინება, ქართველი მეფეები რატომ შეიპყრობდნენ ხანებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი იმხანად სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის უძლიერესი ხანისა და პირველობისათვის მათი უმთავრესი მეტოქის, ჰაჯი-ჩელების, დამარცხებას აპირებდნენ? თუმცა დასაშვებია ის ფაქტიც, რომ მეფე ერეკლე II მათ ბოლომდე ვეღარ ენდო და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული ხანების შეპყრობა - ეს უაღრესად სარისკო ღონისძიება, ძალზე არაორგანიზებულად მოეწყო. ქართველმა და მათთან ერთად მყოფმა ჩრდილო კავკასიელმა მეომრებმა დატყვევებული ხანების რბევა და ძარცვა-გლეჯა მეტად თავაშვებულად დაიწყეს. იქ არნახული, საშინელი არეულობა მოხდა. ზოგმა თავს გაქცევით უშველა, ხოლო „ვინც დაიჭირეს, დაატიტვლეს, რომ აღარა შეარჩინეს-რა“.

ქართველმა მეფეებმა თავაშვებულ ბრბოდ ქცეული მეომრების დაწყნარება და სიტუაციის მობილიზება ვერ მოახერხეს. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, მათ ქაზუმ ხან ყარადაღელისა და შაჰისევანის ხანის შეპყრობა არ ეწადათ, რომელთანაც ისინი უფრო დაახლოებულნი იყვნენ, მაგრამ რბევა-აწიოკებას ვერც ისინი გადაურჩნენ. მეფეთა ბრძანებით მათ თავ-თავიანთი საქონელი უკან დაუბრუნეს, ხოლო რაც დააკლდათ, „თავისიც ბევრი დაადვეს და მისცეს ისევ“. იქიდან ქართველთა ჯარი, თავის ტყვეებითა და ნაძარცვი საქონლით, განჯაში მივიდა. ქართველ

---

[28] კახაბერ დემეტრაშვილი, „1752 წლის განჯის ბრძოლა“, აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, შრომათა კრებული (2003): 70-75.

[29] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 193.

[30] Аббас-Кули-Ага Бакиханов, Гюлистан-Ирам (Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана, 1926), 128-129; Мирза-Адигезаль-Бек, Карабаг-Наме, 66; Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 96; Эльдар Исмаилов, Очерки по истории Азербайджана, 143-144.

[31] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 5-6, 47; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, 49.

[32] ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 53; Петр Григорьевич Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть первая (Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1869), 238-239; Петр Григорьевич Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть третья, Хронологический и алфавитный указатели составленные Л. Броссе (Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1869), 88-89; Такаишвили, Материалы для истории Грузии, 50-51.

მეფეებს სურდათ ქალაქ განჯის დაკავება და იქ მმართველად თავისი სანდო კაცის დანიშვნა, მაგრამ ადგილობრივმა განჯელებმა ციხე-სიმაგრის კარები დაკეტეს და ეს ხალხი ქალაქში არ შეუშვეს. ამ არეულობით ფანაჰ ალი ხანის ვაჟმა და ძმისწულმა ისარგებლეს და ჰაჯი-ჩელებისთან გაქცევა მოახერხეს. მათ შაქის ხანს, რომელიც მდ. მტკვრის მეორე ნაპირზე იმყოფებოდა და მოვლენების განვითარებას ელოდებოდა, ყველაფერი დაწვრილებით აუწყეს. ამის გამგონე ჰაჯი-ჩელები თავისი ჯარით, განჯისკენ დაიძრა. იმ დღეს, 1752 წლის ვნების კვირის პარასკევს, დაღამების გამო ბრძოლა აღარ შედგა. ხოლო, მეორე დღეს, დიდ შაბათს, ჰაჯი-ჩელების ჯარმა განჯასთან, დისციპლინამოშლილი ქართველთა ჯარი სასტიკად დაამარცხა.[33]

რაც შეეხება განჯის ბრძოლის ზუსტ თარიღს, ისტორიკოს თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ დაცული ცნობით, ქართველთა ჯარი განჯაში ჩავიდა 1752 წლის მარტის დამდეგს. ქართველების მიერ ზემოხსენებული ხანების შეპყრობა 21 მარტს (ახ. სტ. 1 აპრილს), ლაზარობის შაბათს, ხოლო ჰაჯი-ჩელების მიერ ქართველი მეფეების დამარცხება კი 28 მარტს (ახ. სტ. 8 აპრილს), დიდ შაბათს მოხდა. ამავე წყაროში მითითებულია, რომ 1752 წელს აღდგომა 29 მარტს (ახ. სტ. 9 აპრილს) იყო.[34]

ზუსტად იგივე თარიღია დასახელებული ე. თაყაიშვილის ნაშრომში, სადაც ვკითხულობთ: „მეფეთ ნუხიდამ მოყუანილი ჯარი არად ჩააგდეს და ურიგოდ შეებნენ, და დამარცხდნენ მეფენი“. დამარცხებულები თბილისში დაბრუნდნენ, ხოლო ქართველების მიერ ტყვედყოფილი ხანები კი ჰაჯი-ჩელებისთან - განჯაში. ეს მოხდა აღდგომის შაბათ დღეს. აქვე ნათქვამია, რომ 28 მარტს (ახ. სტ. 8 აპრილს) განჯაში სავაჭროდ ჩასული თბილისელი მოქალაქეემი ჰაჯი-ჩელების ხალხმა აიკლო და დაარბია.[35]

პ. ბუტკოვის მონაცემებით, კი ჰაჯი-ჩელებიმ თავისი ჯარით ქართველები დაამარცხა 1752 წლის 12 აპრილს (ახ. სტ. 23 აპრილს).[36]

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ნათქვამია, რომ ეს ამბავი დიდ მარხვას მოხდა, თუმცა დღე არ არის დაკონკრეტებული.[37]

ცნობილია, რომ 1752 წლის 29 მარტი (ახ. სტ. 9 აპრილი) ნამდვილად კვირა დღე იყო. აქედან გამომდინარე, თ. ჟორდანიასა და ე. თაყაიშვილის ნაშრომებში აღნიშნული თარიღი უფრო მეტად სარწმუნოა.

ასეა თუ ისე, ქართველმა მეფეებმა, დროის მცირე მონაკვეთში, სამწუხაროდ, ორჯერ განიცადეს მარცხი ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. სავსებით ვიზიარებთ ისტორიკოს ლ. ტუხაშვილის შეხედულებას, რომლის თქმითაც, თუ არა მეფე ერეკლე II-ის ტაქტიკური შეცდომა და ორსარდლობა, შეიძლება ამას საქართველოსთვის დიდმნიშვნელოვანი შედეგი მოჰყოლოდა.[38] მართლაც, ორხელისუფლიანობა (ორსარდლობა) ქართველთა ჯარში ხშირად უარყოფითად მოქმედებდა. ეს შეიძლება ითქვას აგრი-ჩაის ზემოთ ნახსენებ ბრძოლაზეც.

განჯის ბრძოლაში გამარჯვებული ჰაჯი-ჩელები ხანს ქართველთა დიდი ალაფი დარჩა. მან დატყვევებული ხანები გაათავისუფლა, თავ-თავიანთ ქვეყნებში გაუშვა და მათი ნდობა მოიპოვა. ასევე, რიგი სახანოების მმართველებმაც შაქის ხანს მორჩილება გამოუცხადეს. ამ დამარცხების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს მიწა-წყალზე დაღესტნელთა გამუდმებული თარეში,

---

[33] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 193-195; Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть первая, 239; Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть третья, 89.

[34] თევდორე ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ (თბილისი: „მეცნიერება“, 1967), 219.

[35] Еквтиме Такаишвили, Материалы для истории Грузии, 51-52.

[36] Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть первая, 239; Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть третья, 89

[37] ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, 392.

[38] ლევარდ ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი) (თბილისი: „მეცნიერება“, 1983). 65.

ასევე ჰაჯი-ჩელების ანტიქრისტიანულ პოლიტიკას აყოლილი სამხრეთ კავკასიელი მუსლიმი ხანების შემოჭრა და რბევა-აწიოკება მოჰყვა, რამაც რამდენიმე თვე გასტანა. ჰაჯი-ჩელების ჯარებმა დაიკავეს განჯა, ყაზახი და ბორჩალო. ამ ადგილების მმართველად კი ჰაჯი-ჩელებიმ თავისი ვაჟი აღა-ქიში გამოგზავნა. ეს უკანასკნელი კი ორი წელი იყო ამ ადგილების მმართველი, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ეს ადგილები შაქის სახანოს გავლენის სფეროში იყო მოქცეული. აღა-ქიშიმ შემოიყარა შაქის, შირვანის, ყარაბაღის, განჯის, ერევნის სახანოთა ჯარები და ჯერ ყაზახში, ხოლო შემდეგ ბაიდარში დაბანაკდა. ეს მხარე იმხანად ქართველების მტერ-ავაზაკთა ბრძოლების ასპარეზად იქცა, საიდანაც გამოგზავნილი რაზმები ქვემო ქართლს საშინლად აოხრებდნენ და თვით თბილისსაც საფრთხე შეუქმნეს.[39]

ასეთ რთულ სიტუაციაში თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა, მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ, ქმედით ღონისძიებებს მიმართეს: სამხედრო პოტენციალის გაზრდის მიზნით, სასწრაფოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში დამხმარე ჯარის საშოვნელად ხალხი გაგზავნეს, დაიწყეს თბილისის გამაგრება, საზღვრისპირა რეგიონებიდან მოსახლეობა შედარებით უსაფრთხო ადგილებში გახიზნეს. მოზღვავებული მტრის შესაკავებლად, თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა გადაწყვიტეს ჰაჯი-ჩელები ხანთან ზავი ეთხოვათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ქართველ მეფეებს ულტიმატუმი წამოუყენა: ის მათ პირობებს იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ ქართლისა და კახეთის მეფეები თავიანთ ქვეყნებს დასჯერდებოდნენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის სახანოებზე ხელს აიღებდნენ, რაც ქართველი მეფეებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ამასობაში, ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართველ მეფეებს დახმარების იმედი გაუჩნდათ. ქართლისა და კახეთის მეფეებმა იქ ისევ გაგზავნეს ხალხი ჯარის დასაქირავებლად.[40] ქართველი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ მტრებთან ბრძოლაში, ჩრდილოეთ კავკასიელი დამხმარე ძალების გარდა, აუცილებელი იყო ძლიერი მოკავშირის გამონახვა, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ დაღესტნელ ფეოდალებს, ოსმალეთის ხელშეწყობით, ჩრდილოეთიდან მტრული გარემოცვის რკალი შეექმნათ. ამის გათვალისწინებით, 1752 წლის მაისში ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებმა დახმარების სათხოვნელად რუსეთში ელჩობა გაგზავნეს, რომელსაც (1752-1754 წლებში) ამილახვრების ოჯახის წარმომადგენელი, თბილისის მიტროპოლიტი ათანასე თბილელი და კახელი თავადი სიმონ მაყაშვილი ხელმძღვანელობდნენ.[41] აქვე იმას დავამატებთ, რომ ამ ღონისძიებას ქართველთათვის რამე სასარგებლო შედეგი არ მოჰყოლია, რადგან რუსეთს საკუთარი გეგმები ჰქონდა, სადაც კავკასიურ პოლიტიკაში საქართველოს პირველხარისხოვანი როლი ჯერ არ ენიჭებოდა. საბოლოოდ, ქართველებმა რუსებისგან მხოლოდ საჩუქრები და მომავალში დახმარების იმედი მიიღეს.[42] სამაგიეროდ, 1752 წლის აგვისტოს თვეში, ჩრდილოეთ კავკასიიდან დამხმარე ჯარი მოვიდა. პ. ბუტკოვის მონაცემებით, ქართველებმა დიდი ყაბარდოდან ხუთასი, ხოლო მცირე ყაბარდოდან ათას ხუთასი მეომარი დაიქირავეს. მოქირავნეთა შორის ოსეთიდანაც იყვნენ.[43] ბუნებრივია, ამას ქართველთა ჯარი ემატებოდა.

---

[39] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე, 1800 წლამდე (სანკტპეტერბურღს: გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, 1854), 442-445; Мирза-Адигезаль-Бек, Карабаг-Наме, 67; Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 97; Махмуд Исмаил, История Азербайджана, 37.

[40] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, 444.

[41] იასე ცინცაძე, „ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-1754)“. საისტორიო მოამბე, ტ. VI (1952): 149.

[42] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, 458; ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი II, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968), 41; თეიმურაზ ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII ს.ს.) (თბილისი: „მეცნიერება“, 1968), 181-182.

[43] Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть первая, 239; Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть третья, 90.

ყოველივე ამის შემდეგ, აღა-ქიშიმ გადაწყვიტა, ქართველებთან ზავი ეთხოვა, რაზეც მან უარი მიიღო. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, ქართლისა და კახეთის მეფეებმა შერიგება „აღარ ინებეს, რადგან კარზე მოხდომილნი იყვნენ, უომრობა აღარ იკადრეს“.[44] პ. ბუტკოვის ნაშრომის თანახმად, აღა-ქიშის 6 ათასიანი ჯარი ჰყავდა შეკრებილი.[45] მიუხედავად ამისა, მან გაცლა ამჯობინა და განჯის შაჰვერდი-ხანთან ერთად, განჯის მიმართულებით გასწია. ყაზახ-შამშადილოს საზღვარზე ქართველთა ჯარი მათ წამოეწია და თულქითაფასთან (თულქითეფესთან), 1752 წლის 1 სექტემბერს (ახ. სტ. 12 სექტემბერს), აღა-ქიშის ჯარი დაამარცხა.[46] ე. თაყაიშვილის ნაშრომში დაცული ცნობით, ეს ამბავი 3 სექტემბერს (ახ. სტ. 14 სექტემბერს) მოხდა.[47] პაპუნა ორბელიანის მონაცემებით, დახოცილთა გარდა, გამარჯვებულმა ქართველთა ჯარმა მტრის ათას ხუთასი ტყვე იგდო ხელთ. მათ, ასევე, შირვან-შემახიის „დიდრონი კაცები“ ჩაუვარდათ ხელთ, ზოგიც ბრძოლის ველზე დაიხოცა. გარდა ამისა, ქართველთა ჯარს მტრის დიდი ალაფიც დარჩა.[48] პ. ბუტკოვის მონაცემებით, ეს ბრძოლა 1752 წლის 1 სექტემბერს (ახ. სტ. 12 სექტემბერს) გაიმართა, სადაც, მისი თქმით, გამარჯვებულმა ქართველებმა მტრის შვიდასი მეომარი დახოცეს და სამასი მეომარი ტყვედ ჩაიგდეს.[49] აღა-ქიში კი გაიქცა. საინტერესოა, რომ აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში ამ ბრძოლის შესახებ ძალზე მცირე ცნობები არსებობს. განსაკუთრებით, გაოცებას იწვევს ვ. ლევიატოვის მწირი ინფორმაცია, რადგან ამ საკითხის შესახებ ცნობებს, სწორედ პ. ბუტკოვის ნაშრომიდან სარგებლობდა.[50] აზერბაიჯანულ ლიტერატურაში გავრცელებული ვერსიის თანახმად, აღა-ქიში საქართველოს სოფლებს ორი წლის მანძილზე არბევდა,[51] რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ზემოთ ნახსენები მოვლენების გათვალისწინებით, აღა-ქიში მხოლოდ რამდენიმე თვის მანძილზე უტევდა საქართველოს საზღვრისპირა სოფლებს. თულქითაფასთან ზემოთ ნახსენებ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ კი ის საგრძნობლად მოშორდა საქართველოს საზღვრებს.

აღა-ქიშისთან გამარჯვების შემდეგ კვლავ აღდგა თეიმურაზ და ერეკლე მეფეთა ავტორიტეტი. რაც მთავარია, ამ გამარჯვებას მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: ქართველთა წინააღმდეგ გაერთიანებული მაჰმადიან სახანოთა კავშირი დაიშალა; აზატ ხან ავღანმაც ზავი ითხოვა ერეკლე მეფესთან; ქართველი მეფეები ყაზახ-შამშადილო-ბორჩალოს საქმეთა მოწესრიგებას შეუდგნენ (მოღალატე ხანები სამაგალითოდ დასაჯეს და მათ ადგილზე, მათთვის სასურველი ხანები დააყენეს); ზოგიერთმა ხანმა კვლავ ქართველი მეფეების მორჩილება ისურვა; მათ ყალმუხეთის ხანისგანაც მიიღეს ფეშქაში და საჭიროების შემთხვევაში ქართველთა სასარგებლოდ ჯარის გამოყვანის იმედიც; ქართლისა და კახეთის სამეფოებმა კვლავ აღადგინეს ბატონობა ერევნისა და განჯის სახანოებზე.[52] ასე რომ, მეფე თეიმურაზ II-მ და მეფე ერეკლე II-მ ჰაჯი-ჩელებიზე შური იძიეს. მართალია, თვითონ არა, მაგრამ სამაგიეროდ, მისი საქმეების გამგრძელებელი, მისივე ვაჟი დაამარცხეს.

პაპუნა ორბელიანის ნაშრომში „ამბავი ქართლისანი“ დაცული ცნობით, თულქითაფას ზემოთ ნახსენები ბრძოლიდან მცირე ხნის შემდეგ აღა-ქიშის და შემდეგ თვით ჰაჯი-ჩელების საქართველოზე გამოლაშქრება ეწადათ, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

---

[44] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 200-202.

[45] Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть первая, 239.

[46] მამია დუმბაძე, (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973), 624.

[47] Такаишвили, Материалы для истории Грузии, 52.

[48] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, 446; ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 54-55.

[49] Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть первая, 240; Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть третья, 90-91.

[50] Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 97.

[51] Мирза-Адигезаль-Бек, Карабаг-Наме, 67; Бакиханов, Гюлистан-Ирам, 129; Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, 97; Махмуд Исмаил, История Азербайджана, 37.

[52] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, 446-447.

პირველ შემთხვევაში, აღა-ქიშიმ იმით ისარგებლა, რომ თულქითაფასთან გამარჯვების შემდეგ ქართველმა მეფეებმა ჯარი დაშალეს, დაქირავებული ჯარის ნაწილები სამშობლოში გაისტუმრეს და მან ჭარისა და შირვანის ჯარი შემოიკრიბა. განჯის ხანიც მას მიემხრო. ეს გაერთიანებული ჯარი საქართველოსკენ დაიძრა და ყაზახში დაბანაკდა. თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ჯარი და მუხრანბატონ კონსტანტინეს მეთაურობით მეტოქის შესახვედრად გაგზავნეს. როდესაც ქართველთა ჯარი ბორჩალოს მთავარ ქალაქ აღჯაყალაში ჩავიდა, აღა-ქიშიმ ქართველებთან შებმა გადაიფიქრა და იქაურობას გაეცალა.

1753 წელს საქართველოს დალაშქვრა ჰაჯი-ჩელებიმ განიზრახა. აქ ღალატის ფაქტს ჰქონდა ადგილი: ქართველი მეფეების მიერ ბაიდარსა და ყაზახში „მენაპირე“ ჯარის სარდლებად მყოფმა შანშე ქსნის ერისთავის ვაჟმა, ზურაბმა და ნახიჭევანის ყოფილმა ხანმა, ქსნის ერისთავის სიძემ, ბაამან ხანმა (მას ცოლად ჰყავდა შანშე ქსნის ერისთავის ძმის, იესეს ქალიშვილი) მათ უღალატეს და განჯის ხანთან მივიდნენ. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა ეს ამბავი ჰაჯი-ჩელები ხანს აუწყა, რომელმაც დიდი ჯარი შეაგროვა და საქართველოსკენ დაიძრა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ და ქართველთა გასახარად, ჰაჯი-ჩელები ხანს შემახიისა და ყუბის ხანებისგან პრობლემები შეექმნა და იძულებული გახდა ამ ლაშქრობაზე ხელი აეღო.[53]

ამის შემდეგ, ჰაჯი-ჩელების ვხედავთ ავარიის ხანის ნურსალ ბეგის ბანაკში, 1754 წელს საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ექსპედიციის დროს. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით: „ხუნძახის ბატონი იდგა შილდის თავში და ყოველდღე ემატებოდა დაღისტნიდამ ჯარი ლეკისა. აყარა კახეთი კახმა ბატონმა და სულ ციხეებში შეიყვანა და ჯარი სულ კახეთისა თელავს შემოიყარა და ქართლშიაც ხიზნობა სიმაგრეებში შეიქნა. ჭარელთ, კაკის სულთანმა, **აჯი ჩალაბმა,**[54] შირვანელთ, ფანახან, განჯის ხანმა, ამათ ყოველთა პირი მიეცათ“. გადამწყვეტი ბრძოლა 1754 წლის აგვისტოში მჭადიჯვართან გაიმართა და ქართველთა სახელოვანი გამარჯვებით დასრულდა.[55]

1755 წელს ჰაჯი ჩელები, შირვანის სახანოზე თავისი ჰეგემონიის დამყარების მცდელობისას, ყუბის ჰუსეინალი ხანთან დამარცხდა. სწორედ იმ წელს გარდაიცვალა ჰაჯი-ჩელები, რომელიც შეცვალა მისმა ვაჟმა - აღა-ქიშიმ (1755-1759).[56]

შაქის სახანოს ჯარს საქართველოს წინააღმდეგ, 1755 წლის ყვარლის ბრძოლის დროსაც ვხედავთ. ავარიის ხანმა, ნურსალ ბეგმა წინა წელს მჭადიჯვრის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, მოინდომა საქართველოს დალაშქვრა. მან 20 ათასიანი ჯარი შემოიკრიბა, მოადგა ყვარელს და იქიდან „დაიბარა ჭარელთ ჯარი, **აგრეთვე გაგზავნა კაცნი აჯი-ჩალაბის შვილთან**, კაკის სულთანთან, განჯის ხანთან და ამათ ყველას ჯარი და მოხმარება სთხოვა. ესენი ყველანი ქართლისა და კახეთის მტერნი იყვნენ, **აჯი-ჩალაბის შვილი თვითან მოვიდა ჯარით**“.[57] 1755 წლის ივლისის მიწურულს ეს ჯარი, რომლის რაოდენობა უკვე 30 ათასამდე მეომარს აღწევდა, ყვარლის ციხე-სიმაგრეს შემოადგა და შემდეგ ალყაში მოაქცია. როდესაც მეციხოვნეებს გაუჭირდათ, თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა მათ დასახმარებლად ხალხი შეგზავნეს. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით: „რა მიეახლნენ ციხესა ყვარელისასა, ქვემორე გავაზისა მხარე იდგნენ ჭარელნი, კაკის სულთანი თავისის ჯარით და **აჯი-ჩალაბის შვილი შაქისა და შირვანის ჯარითა,** ზემო მხარეს იდგნენ ხუნძახის ბატონი, შამხალი და სურხავი დაღისტნის ჯარითა“. შემდეგ, ქარლისა და კახეთის მეფეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ჯარის გაგზავნისა ჭარის დასარბევად. ჭარელები ყვარლის ციხე-სიმაგრეს მოსცილდნენ და შეშინებულნი თავიანთ სამშობლოში დაბრუნდნენ.

---

[53] იქვე, 447-450; პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 204-208.

[54] ციტატებში ყველა აღნიშნული ხაზი ჩვენია.

[55] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, 454-456; პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 215-218; ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 55; დუმბაძე, (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 627.

[56] Махмуд Исмаил, История Азербайджана, 37.

[57] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, 461-462; პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 227; დუმბაძე, (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 627; ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 56.

მათ სხვა ჯარებიც გაჰყვა უკან, რომელთა შორის შაქის სახანოს ჯარიც იყო: „შემოსწყრნენ ჭარელნი და წავიდნენ ქვეყანათა თვისთა, კაკის სულთანიც თან გაჰყვა და **აღარც აჯი-ჩალაბი შვილის დადგა**“.[58]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰაჯი-ჩელები 1755 წელს გარდაიცვალა. XIX საუკუნის ისტორიკოსის აბდულ-ლატიფ-ეფენდის ნაშრომის მიხედვით, ჰაჯი-ჩელები ჰიჯრის 1168 წელს გარდაიცვალა, რაც ემთხვევა 1754-1755 წლებს.[59] უნდა ვივარაუდოდ, რომ, როდესაც ნურსალ ბეგმა თავისთან დაიბარა აღა-ქიში შაქის ჯარით, ჰაჯი-ჩელები უკვე გარდაცვლილი იყო. სხვა შემთხვევაში, თავის ხალხს ავარიის ხანი სწორედ მასთან გაგზავნიდა (როგორც წინა წელს), რომელსაც საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში. ამიტომ, ნურსალ ბეგმა შაქის ახალ ხანს - აღა-ქიშის მიმართა დასახმარებლად.[60]

ისიც აღსანიშნავია, რომ ჰაჯი-ჩელების შემდეგ, თანდათანობით დაიწყო შაქის სახანოს დაქვეითება. მომდევნო წლებში ის უკვე ისეთ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს აღარ წარმოადგენდა აღნიშნულ რეგიონში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა - References:

1. ბაგრატიონი, თეიმურაზ. *ახალი ისტორია.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1983.
2. ბატონიშვილი, დავით. *ახალი ისტორია.* ბატონიშვილი, ბაგრატ. *ახალი მოთხრობა.* გამოსცა თამარ ლომოურმა. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
3. ბატონიშვილი, ვახუშტი. *საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე.* მეორე გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძისაგან. თბილისი: ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული № 1, 1913.
4. ბატონიშვილი, ვახტანგ. *ისტორიების აღწერა.* გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ. ტფილისი: სტამბა ბართლომე კილაძისა, 1914.
5. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან“. მომომხილველი, ტომი III (1953): 67-86.
6. ბოცვაძე, თეიმურაზ. *საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII ს.ს.).* თბილისი: „მეცნიერება“, 1968.
7. დემეტრაშვილი, კახაბერ. „1752 წლის განჯის ბრძოლა“. აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, შრომათა კრებული (2003): 70-75.
8. დემეტრაშვილი, კახაბერ. „პაპუნა ორბელიანი ფანახ ხან ყარაბაღელთან ქართლ-კახეთის მეფეების პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ“. მეცნიერება და ცხოვრება, №2 (2010): 141-147.

[58] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, 463-464; პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, 230-231; ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 56.

[59] Абдул-Латиф-Эфенди. История Шекинских Ханов. Перевел с тюркского А.Дадашев (Баку: Издание Общества Обследования и Изучения Азербайджана, 1926. Отпечатано в типографии “Хатун плюс” ЛТД, 2010), 10.

[60] Махмуд Исмаил, История Азербайджана, 37.

9. დუმბაძე, მამია (რედაქტორი). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. *საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973.
10. მაჭარაძე, ვალერიან. *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის,* ნაწილი II, *თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968.
11. ორბელიანი, პაპუნა. *„ამბავნი ქართლისანი“,* ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1981.
12. ჟორდანია, თევდორე. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ.* წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბილისი: „მეცნიერება“, 1967.
13. ტუხაშვილი, ლოვარდ. *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი).* თბილისი: „მეცნიერება“, 1983.
14. *ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე, 1800 წლამდე.* სანკტპეტერბურღს: გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, 1854.
15. ცინცაძე, იასე. „ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-1754)“. საისტორიო მოამბე, ტ. VI (1952): 85-175.
16. ხერხეულიძე, ომან. *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1989.
17. Абдуллаев, Гаси Бехбудович. *Азербайджан в XVIII веке и взаимоотнашения его с Россией.* Баку: Издательство Академии наук АзССР, 1965.
18. Абдул-Латиф-Эфенди. *История Шекинских Ханов*. Перевел с тюркского А.Дадашев. Баку: Издание Общества Обследования и Изучения Азербайджана, 1926. Отпечатано в типографии “Хатун плюс” ЛТД, 2010.
19. Абдурахманов, Асим Ахмед оглы. *Азербайджан Во взаимоотношениях России. Турции и Ирана в первой половине в XVIII века*. Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской СССР, 1964. Отпечатано в типографии «Нагыл Еви», 2011.
20. Алиев, Играр (редактор). *История Азербайджана с древнейших времен до начала XX века.* Баку: Издательство «Элм», 1995.
21. Бакиханов, Аббас-Кули-Ага. *Гюлистан-Ират*. Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана, 1926.
22. Бутков, Петр Григорьевич. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год.* Часть первая. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1869.
23. Бутков, Петр Григорьевич. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год.* Часть третья. Хронологический и алфавитный указатели, составленные Л. Броссе. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1869.
24. Исмаил, Махмуд. *История Азербайджана (Краткий обзор с древнейших времен до 1920 года).* Баку: Азербайджанское государственное издательство «Азернешр», 1995.
25. Исмаилов, Эльдар. *Очерки по истории Азербайджана*. Москва: Флинта, 2010.
26. Левиатов, Вадим Николаевич. *Очерки из истории Азербайджана в XVIII веке*. Баку: Издательство АН Азербайджанской СССР, 1948.
27. Мирза-Адигезаль-Бек. *Карабаг-Наме*. Перевод с азербайджанского языка подготовленный к печати Институтом истории им. А. Бакиханова Академии Наук Азербайджанской СССР. Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской СССР. Типография «Красный Восток», 1950.

28. Петрушевский, Илья Павловнч. *Очерки по истории феодальный отношений в Азербайджане и Армении в XVI – начале XIX вв.* Ленинград: Издательство Ленинградского государственного ордена Ленина университета имени Жданова Андреия Алексардровича, 1949.
29. Такаишвили, Еквтиме. *Материалы для истории Грузии.* Тифлис: Издание Управления Кавказкого Учебного Округа. Типография К. Н. Козловского, 1895.
30. *Хроника воин Джара в XVIII столетии*, с предисловие - Хулуфлу В., перевод арабского на русский язык и несколько примечаний сделаны Жузе П. К. а примечания к «Хронике» даны Пахомовым Е. А. Баку: Издательство АзГНИИ, Гостипография „Красный Восток" Азполиграф а В. С. Н. Х., 1931.
31. Lockhart, Laurence. *Nadir Shah. A Critical study, besed mainly upon Contemprorary Sources.* London: Luzac, 1938.
32. شعبانی, رضا. *تاریخ اجتماعی ایران در عصر افشاریه*, جلد اول .تهران: انتشارات نوین، ۱۳۶۹.
33. کاظم مروی, محمد. وزیر مرو, *عالم آرای نادری*, به تصحیح و با مقدمه دکتر محمد امین ریاحی, جلد سوم. تهران: انتشارات علمی, بهار۷۴ ۱۳.